სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N100

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორე მხრივ, შპს არგო მენეჯმენტი (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ილია საგანელიძის სახით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: **55100000**) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელმა აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საერთაშორისო სტუმრებს, საუდის არაბეთიდან წამყვანი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებს (სულ 13 პიროვნება) 2023 წლის 15-18 მაისის პერიოდში უნდა გაუწიოს სასტუმრო მომსახურება .

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **7000** (შვიდი ათასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - რუსუდან ქოქოლაძე საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს არგო მენეჯმენტი**
მისამართი: ქ. ბათუმი,ფარნავაზ მეფისქ. N84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N 1
	საიდენტიფიკაციო კოდი: 445391647
საიდენტიფიკაციო კოდი:245427809	*ს.ს. „თიბისი ბანკი“* *ბანკის კოდი – TBCBGE22* *ანგარიში N GE10TB7292536020100004*
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
თინათინ ზოიძე	ილია საგანელიძე

Tinatin Zoidze 61009006289 Digitally signed by Tinatin Zoidze Date: 2023.05.11 17:51:28

Argo Management LLC Digitally signed by Argo Management LLC Date: 2023.05.11 19:18:03 +04'00'